A LOGISTICS COMPANY

JSC LELO

№3-73

3 ნოემბერი, 2014წ.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს
ადმინისტრაციას

შეგახსენებთ, რომ თქვენი 2014 წლის 10 ოქტომბრის N9623/09 წერილის თანახმად, სს“ლელო“–ს (ქსნის ქუჩა N36, ს/კ 01-12-08-002/003) ტერიტორიაზე გაედინება 500 მმ დიამეტრის მოქმედი საკანალიზაციო კოლექტორი. ამის შემდგომ, თქვენს წარმომადგენელთან ერთად მოხდა ჩვენი ტერიტორიის შემოწმება-გათხრა და აღმოჩნდა, რომ აღნიშნული საკანალიზაციო კოლექტორი არ არსებობს.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, გთხოვთ წერილობით დაგვიდასტუროთ რომ ჩვენს ტერიტორიაზე არ გადის სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი მოქმედი ქსელი.

სს „ლელო“-ს დირექტორი:
ბესიკ ახალაძე

JSC LELO 200002745
36, Ksani Street 0141 Tbilisi Georgia.
Tel. +995 32 -2 907 709, Fax +995 32-2 607 323 info@alc.ge

№ 10959/03 D 12 11 14

შს "ლელო"-ს დირექტორს
ბატონ ბესიკ ახალაძეს,
ქსნის ქუჩა N36, 01-12-08-002/003

შპს-მ "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" განიხილა თქვენი წერილი N3-73, დათარიღებული 3.11.14 წ. დარეგისტრირებული №24168/04, 03.11.14 წ.

გაცნობებთ, რომ როგორც ადგილზე კიდევ ერთხელ შემოწმებით დადგინდა თქვენს მიერ ადრე წარმოდგენილ საკადასტრო გეგმაზე დატანილი ხაზოვანი ნაგებობა (სადაც აპირებდით მშენებლობის წარმოებას), არ არის დღეისათვის მოქმედი საკანალიზაციო ქსელი, ხოლო თუ მშენებლობის დროს აღმოჩნდება, რომ იგი არის რომელიმე კერძო ქსელი, უნდა მოხდეს მისი გადატანა სამშენებლო ნორმების დაცვით თქვენი ხარჯებით, ქსელის გადატანის პროექტის შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან" შეთანხმების შემდეგ.

პატივისცემით,

კონსტანტინე ღამბაშიძე

ახალი მიერთებების ჯგუფის უფროსი სპეციალისტი/წამყვანი